თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის საბჭოს **2020** წლის 19 ივნისის სხდომის

ოქმი № 6

ივანე ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში 2020 წლის 19 ივნისს შედგა ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის საბჭოს დისტანციური სხდომა.

სხდომა გახსნა თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარემ, დეკანმა, პროფესორმა გიორგი ღაღანიძემ.

ფაკულტეტის საბჭოს შემადგენლობაშია სულ 39 წევრი

სხდომას ესწრებოდა 31 წევრი

კვორუმი შედგა, სხდომა გახსნილად გამოცხადდა.

დღის წესრიგი

1. თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის 2019-2020 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრის ფინალური გამოცდების ორგანიზებისა და ჩატარების წესის შესახებ

/ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი გ. ღაღანიძე/

2. მიმდინარე საკითხები

მოისმინეს: თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის 2019-2020 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრის ფინალური გამოცდების ორგანიზებისა და ჩატარების წესის შესახებ

/ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი გ. ღაღანიძე/

პროფესორმა გიორგი ღაღანიძემ საბჭოს დასამტკიცებლად წარუდგინა თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის 2019-2020 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრის ფინალური გამოცდების ორგანიზებისა და ჩატარების წესი, დოკუმენტი გასაცნობად წინასწარ დაეგზავნათ საბჭოს წევრებს.

1. დასკვნითი გამოცდა ჩატარდება წინასწარ მომზადებული საგამოცდო განრიგის მიხედვით, რომელსაც დაგეგმავს თსუ საგამოცდო ცენტრი და ფაკულტეტის სასწავლო პროცესის მართვის სამსახური; საგამოცდო განრიგი სტუდენტებს Lms ბაზის ან sms-ის ან e-mail-ის საშუალებით ეცნობებათ გამოცდის დაწყებამდე ერთი კვირით ადრე;

2. სტუდენტს, გამოცდაზე უნდა ჰქონდეს პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი (პირადობის არქონის შემთხვევაში გამონაკლისის სახით შეიძლება მართვის მოწმობის ან სხვა მაიდენტიფიცირებელი დოკუმენტის წარდგენაც), რათა შესაძლებელი იყოს მისი იდენტიფიცირება;

3. ეკრანზე უნდა ჩანდეს სტუდენტის სახე, სახელი, გვარი; ასევე, მას ჩართული უნდა ჰქონდეს ვიდეოთვალი;

4. კათედრები ფაკულტეტის ადმინისტრაციას წარმოუდგენენ ინფორმაციას დასკვნითი გამოცდის ჩატარების პლატფორმის შესახებ (არაუგვიანეს 2020 წლის 18 ივნისისა);

5. კათედრები დასკვნითი გამოცდის ჩატარებისთვის ირჩევენ შესაბამის პლატფორმას (Lms.tsu.ge ან Zoom ან Moodle ან Meet ან Classroom ან სხვა პროგრამა), ინფორმაციას აცნობენ სტუდენტებს და მათ შესაძლებლობის ფარგლებში უტარებენ ტრენინგებს;

6. გამოცდის დროის მაქსიმალური ხანგრძლივობა განისაზღვრება არაუმეტეს 3 საათი;

7. ყოველ ახალ სემინარულ ჯგუფებს (ან ნაკადს) უნდა შევთავაზოთ წერითი გამოცდის ახალი ვარიანტი (ბილეთი/ ან ვარიანტი). შესაძლებელია კათედრამ (პედაგოგებთან შეთანხმებით) ინდივიდუალურად გადაწყვიტოს რამდენ ვარიანტს გამოიყენებს ერთჯერადად თითოეულ ნაკადში;

8. გამოცდის მსვლელობის დროს გაკეთდება აუდიო და ვიდეო ჩანაწერი; ჩანაწერი ინახება კათედრაზე (ან აკადემიურ პერსონალთან). დასკვნითი და დამატებითი გამოცდის დამთავრების შემდეგ ჩანაწერები, დეკანის ვიზირებით გადაეცემა ფაკულტეტის სასწავლო პროცესის მართვის სამსახურს შესანახად;

9. თუ სტუდენტს გამოცდის მსვლელობის დროს დაუფიქსირდა ტექნიკური ხარვეზი (დენის, ინტერნეტის გათიშვა), მაშინ იგი ინფორმაციას დაუყოვნებლივ აწვდის პედაგოგს ან ფაკულტეტის ცხელ ხაზს, ხოლო 24 საათის განმავლობაში LMS-ის საშუალებით აგზავნის განცხადებას საგამოცდო ცენტრში ან ფაკულტეტზე;

10. ლექტორის ნებართვის გარეშე სამუშაო ადგილიდან გასვლა (ანუ როდესაც ვიდეოთვალით არ ფიქსირდება სტუდენტი) შესაძლებლია გახდეს სტუდენტის გამოცდიდან მოხსნის საფუძველი;

11. პედაგოგი გამოცდის დაწყებამდე სტუდენტებს აწვდის ინფორმაციას იმის შესახებ, რომ ვისაც არ აქვს დასკვნით გამოცდაზე დასაშვებისთვის აუცილებელი 11 ქულა მათი ნაშრომი არ შეფასდება;

12. ნაშრომების გასწორების ვადა განისაზღვრება თსუ-ში არსებული რეგულაციების შესაბამისად (გამოცდების ჩატარების ინსტრუქცია);

13. შესრულებული ნაშრომი სტუდენტის მიერ ლექტორთან იგზავნება წინასწარ შეთანხმებული ფორმატით;

14. სტუდენტის მიერ მიღებულ შეფასებებს კათედრა აგზავნის ფაკულტეტის სასწავლო პროცესის მართვის სამსახურში, რომელიც თავის მხრივ, შეფასებებს გადასცემს თსუ საგამოცდო ცენტრს ელ.ბაზაში დაფიქსირებისთვის;

15. წერითი ნაშრომების აპელაცია განხორციელდება თსუ-ში მოქმედი რეგულაციით (გამოცდების ჩატარების ინსტრუქცია);

16. გამოცდების ჩატარების მიმდინარეობას გააკონტროლებს კათედრა, ფაკულეტეტის ადმინისტრაცია და მონიტირინგის სამსახური;

17. დამატებით გამოცდაზე სტუდენტის დაშვება განხორციელდება თსუ სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის მიხედვით (მუხლი 16);

18. დასკვნითი გამოცდის ჩატარების ტექნიკური ორგანიზაცია:

ა. ვარიანტი (ზოგადი წესი) - კათედრამ ან პედაგოგმა გამოცდის ჩატარებისთვის, შეიძლება გამოიყენოს სხვადასხვა პროგრამა, რომელიც წინასწარ შეთანხმებული იქნება საგანმანათლებლო ერთეულთან და სასწავლო ჯგუფებთან. აღნიშნული პროგრამის შესაბამისად საჭიროების შემთხვევაში უნდა შემუშავდეს გამოცდის ჩატარების წესი და აღნიშნულის შესახებ აცნობოს სტუდენტებს და საგანმანათლებლო ერთეულს;

ბ. ვარიანტი (zoom) - პედაგოგს საგამოცდო ბილეთი/ან ბილეთები გამოაქვს ეკრანზე და სტუდენტები ინიშნავენ შესაბამის ვარიანტს (5-7 წუთი) და იწყებენ წერას. თუ სტუდენტმა ნაშრომი დაასრულა დანიშნული დროის ამოწურვამდე, მაშინ იგი ამ ინფორმაციას აწვდის პედაგოგს, რომელიც ინიშნავს ნაშრომის დასრულების საათს. გამოცდის დასრულებიდან 5-10 წუთის განმავლობაში სტუდენტი შესრულებულ ნაშრომს აგზავნის პედაგოგის ელ. ფოსტაზე (ნაშრომის მიღება შესაძლებელია ნებისმიერი ფორმით, რასაც სტუდენტი მოახერხებს მის მიერ არსებული ტექნიკური საშუალებებით. შესაძლებელია იყოს როგორც pdf, ასევე ფოტო, სკანირება და სხვა). პედაგოგი ელექტრონულად უდასტურებს სტუდენტს ნაშრომის მიღებას;

გ. ვარიანტი (zoom) - ტესტირებული დასკვნითი გამოცდის ჩატარების დროს შედგენილი ვარიანტ(ებ)ი წინასწარ, გამოცდის დაწყებამდე 5 წუთით ადრე ეგზავნება სტუდენტებს ელ. ფოსტაზე ან გაუზიაროს zoom-ის საშუალებით. თუ

სტუდენტმა ტესტი დაასრულა დანიშნული დროის ამოწურვამდე, მაშინ იგი ამ ინფორმაციას აწვდის პედაგოგს, რომელიც ინიშნავს ნაშრომის დასრულების დროს. ტესტირებული გამოცდის დასრულებიდან 5 წუთის განმავლობაში სტუდენტი შესრულებულ ნაშრომს აგზავნის პედაგოგის ელ. ფოსტაზე (გადმოგზავნილი შეიძლება იყოს მხოლოდ პასუხები ნებისმიერი ფორმით, რასაც სტუდენტი მოახერხებს მის მიერ არსებული ტექნიკური საშუალებებით. შესაძლებელია იყოს როგორც pdf, ასევე ფოტო, სკანირებული და სხვა). პედაგოგი ელექტრონულად უდასურებს სტუდენტს ნაშრომის მიღებას და ახდენს ვარიანტის იდენტიფიცირებას, რათა სწორად მოახდინოს პასუხების შეფასება.

№№	კათედრა	გამოცდის ჩატარების პლატფორმა	გამოცდის ჩატარების ტიპი	
			ბაკალავრიატში	მაგისტრატურაში
1	ეკონომეტრიკა	Zoom	წერითი	წერითი
2	ეკონომიკური და სოციალური სტატისტიკა	Zoom	წერითი	წერითი
3	ეკონომიკური პოლიტიკა	Zoom & Moodle	წერითი	წერითი
4	თეორიული ეკონომიკა	Zoom & bookwidgets	წერითი	წერითი
5	მაკროეკონომიკა	Zoom	წერითი	წერითი
6	მიკროეკონომიკა	Zoom; bookwidgets & Exam.net	წერითი	შერეული (წერითი და ზეპირი)
7	საერთაშორისო ეკონომიკისა და ეკონომიკური აზრის ისტორია	Zoom	წერითი	შერეული (წერითი და ზეპირი)
8	აღრიცხვა, ანალიზი და აუდიტი	Google Forms	წერითი	წერითი
9	გლობალურ გარემოში მენეჯმენტი	Zoom	წერითი	წერითი
10	ეკონომიკასა და ბიზნესში ინფორმაციული მენეჯმენტი	Zoom; Moodle & Classroom	წერითი	წერითი
11	მარკეტინგი	Zoom	წერითი	წერითი

12	მენეჯმენტი	Zoom & Moodle	წერითი	წერითი
13	საერთაშორისო ბიზნესი	Zoom	წერითი	წერითი
14	ფინანები და საბანკო საქმე	Zoom	წერითი	წერითი
15	ტურიზმისა და მასპინძლობის მენეჯმენტი	Zoom	წერითი	წერითი
16	ტურიზმის სკოლა	Zoom	წერითი	წერითი
17	თავისუფალი კურსები	Zoom	წერითი	
18	ბიზნესის სამართალი	Google Quiz	წერითი	
19	ალბათობა	Zoom	წერითი	
20	მათემატიკა	Zoom	წერითი	
21	უცხო ენები	Zoom	წერითი	

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით აზრი გამოთქვეს: აკად. ა.სილაგაძემ, პროფესორებმა: გ. ღაღანიძემ ი. ანანიაშვილმა ე. მექვაბიშვილმა.

ასოცირებულმა პროფესორებმა: ე. ლეკაშვილმა, შ. შაბურიშვილმა.

სტუდენტებმა: ე. დაბრუნდაშვილმა, თ. ბერაძემ

გაიმართა კენჭისყრა

კენჭისყრის შედეგები: მომხრე -31

წინააღმდგეგი-0

დაადგინეს: დამტკიცდეს თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის 2019-2020 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრის ფინალური გამოცდების ორგანიზებისა და ჩატარების წესი წარმოდგენილი სახით.

ეკონომიკის და ბიზნესის ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი გ.ღაღანიძე

მდივანი, ასოცირებული პროფესორი მ.მაისურაძე